ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილი „დავითისა დ ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ

„დავით და ტირიჭანის საკითხავის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე საკითხია განხილული. მათ შორისაა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი ასპექტების საფუძველზე „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის განსაზღვრა. სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძის მიერ ბავშვების სოციალური მიზანდასახულობით მოკვლას წამების დამაჯერებელ საფუძვლად და საბუთად არ მიიჩნევდნენ, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ ხსენებული საკითხის შესახებ დასვა კითხვები, რომელთათვის მას არც ამ ნაშრომში, არც სხვაგან პასუხი არ გაუცია.

ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა „დავით და ტირიჭანის საკითხავის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, განსაზღვრა მისი ზოგადკულტურული და ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა, მათ შორის თხზულების ჟანრობრივი რაობა. მისი აზრით, „დავით და ტირიჭანის წამებაში“ ყრმები ქრისტიანობის გამო არ მოუკლავთ, არამედ ბავშვები საკუთარმა ბიძამ, დედის ძმამ, თავისი მატერიალური ინტერესების განსახორციელებლად შეიწირა. მას, დისწულთა სიმდიდრის მითვისების ზრახვით შეპყრობილს, სურდა დაეხოცა მცირეწლოვანი ბავშვები, როგორც მემკვიდრეობითი უფლებების მქონენი და მომავალში მისი შემცილენი. უნდა ითქვას, რომ „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“ ჟანრობრივი თვალსაზრისით საგანგებოდ არ შესწავლილა. არ არის განსაზღვრული თხზულების უარ-

ყოფითი პერსონაჟის, თევდოსის, ქრისტიანობაზე მოქცევის საკითხი, როგორც ამ ნაწარმოების ჰაგიოგრაფიულობის ერთ-ერთი საფუძველი. ყოველივე ეს მისი სახისმეტყველებითად განხილვის შედეგად შეიძლება გაირკვეს.

უწინარეს ყოვლისა, მსჯელობა უნდა დავიწყოთ თხზულების სახელწოდების შესახებ. ხელნაწერი მიუთითებს, რომ იგი საკითხავია: „წმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი". საღვთისმეტყველო ლიტერატურაში საკითხავის სახელით, ძირითადად, ჰომილეტიკური ჟანრის თხზულებები, ანუ ქადაგებები, იხსენიება, ხოლო ჰომილიის უმთავრესი დანიშნულება მრევლის წინაშე საღვთო-საღვთისმშობლო დღესასწაულების ან ამა თუ იმ წმინდანის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ზეპირი საუბარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თხზულება, შესაძლოა, თავდაპირველად მრევლის წინაშე ზეპირად წარმოსათქმელი ქადაგება ყოფილიყო და წერილობით თხზულებად ზეპირად წარმოთქმიდან ცოტა მოგვიანებით ჩამოყალიბებულიყო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თხზულებაში ბიძის მიერ ბავშვების მოკვლა წამებადაა აღქმული. დავიმოწმოთ ტექსტი: „ამათი ესე სიჩჩოდსა წამებად, ღირს ყვენ ესენი მათ მათ-თანა გჯრგჯნსა, მათ თანა განკურნებასა ვნებულთასა" (ძეგლები, 1963/1964: 190), „მსხუერპლი იგი წამებისა მათისად" (ძეგლები, 1963/1964: 190). თხზულების ეს სიტყვები იმას მიუთითებს, რომ თხზულება წამებათა რიგისაა, მარტიროლოგიურია, ოღონდ სახელწოდებაში იგი არ აღნიშნულა, რადგან ესაა თხზულება, რომელშიც ბავშვები წამების ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაცაა წარმოდგენილი და თხზულების ავტორი ერთ-ერთი პერსონაჟის ქრისტეს რჯულზე მოქცევასაც სახისმეტყველებითად აღიქვამს და ასახავს. ეს შეიძლება მიანიშნებდეს იმას, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე უნდა დაწერილიყო და შესაძლოა ჯერ კიდევ არ ყოფილიყო ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები და საღვთისმეტყველო საზრისი შემუშავებული. თხზულების ჟანრობრივი რაობის განსაზღვრაში დაგვეხმა-

რება მისი ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო ღირებულების შესახებ თვალსაზრისის ჩამოყალიბება.

„დავით და ტირიჭანის საკითხავის“ მთავარი პერსონაჟები არიან ყრმები, ძმები, დავითი და ტირიჭანი, რომელთა მშობლები დიდგვაროვანი ფეოდალები იყვნენ. მამა, ვარდანი, სომეხი მთავარი ყოფილა. ბავშვების დედაც, თაგინე, აგრეთვე, წარჩინებულ დიდგვაროვანთა წრეს განეკუთვნებოდა, ორივენი იყვნენ „ნათესავთაგან სამეუფოთა“. ვარდანს, როგორც ერისთავს, ქვეყნის მართვა ევალებოდა. ისინი ცხოვრობდნენ „ხევსა ბასიანისასა, დაბასა, რომელსა ჰრქჳან ონკომ“ (ძეგლები, 1963//1964: 186). ორივენი ქრისტიანები იყვნენ და შვილებსაც „მართალსა სარწმუნოებასა ზედა“ ზრდიდნენ. თხზულებაში ნათქვამია, რომ ვარდანი და თაგინე „ცხოვნდებოდეს ღმრთისმსახურებით ყოვლითა ღირსებითა და ღმრთის მოშიშებითა“ (ძეგლები, 1963//1964: 186). ღმრთისმსახურების ხსენება იმას მიუთითებს, რომ ისინი ლიტურგიის მონაწილენი არიან. ღმრთისმსახურება მათი ცხოვრების სტილსა და ღვთისადმი დამოკიდებულებას წარმოაჩენს, ხოლო „ყოვლად ღირსებით“ ცხოვრება იმას მოწმობს, რომ მათ ღვთის რწმენა, სამყაროს არსი, თავიანთი ცხოვრების აზრი და მისია სწორად, ქრისტიანული მრწამსის შეგნებითა და ჭეშმარიტი რწმენით აქვთ გააზრებული. ამის შედეგია ის, რომ უფროს ვაჟს სახელად დავითი უწოდეს, რის ახსნაც დავით წინასწარმეტყველის ჰიპოდიგმური სახის გააზრების კვალობაზეა შესაძლებელი. თხზულებაში ამ სახელით იმთავითვე, წინასწარმეტყველის სახელის სახელდებითვე მოინიშნა, რომ ყრმა დავითი ღვთის რჩეულია. მეორე ძმას, უმცროსს, სომხური სახელი, ტირიჭანი, უწოდეს. ესეც საკმაოდ მიზანდასახულად და სიმბოლურადაა გასააზრებელი, რადგან მშობლებმა სამშობლოს ინტერესების შესაბამისად შეურჩიეს სახელი. ვარდანმა და თაგინემ, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა მშობლებმა, ბავშვებს შესაფერისი, „სარწმუნოებასა ზედა მართალსა“ აღზრდა მისცეს, რაც იმას მიუთითებს, რომ მათ მშობლის ვალი მაროებულად, ბიბლიური, ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრების კვალობაზე

აქვთ გააზრებული, შეგნებული. „დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი“ (ფს. 112, 9); „და მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისაჲთა“ (გალ. 6, 4). თავის მხრივ, ბავშვებიც მორჩილნი უნდა იყვნენ კეთილად აღმზრდელი მშობლებისა: „შვილნი მორჩილ იყვენით მამა-დედათა თქუენთა უფლისა მიერ, რამეთუ ესე არს სამართალ“ (გალ. 6, 1). ეს თვალსაზრისი ისევ აპოსტოლური მოძღვრებითაა მოტივირებული: „ვითარცა-იგი გამოგჳრჩინა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლის დაბადებისა, რაჲთა ვიყვნეთ ჩუენ წმიდა და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით“ (ეფეს. 1, 4). ახალი აღთქმისეული კონცეფციის სათავე ათი მცნებიდან ერთ-ერთია, რომელიც მშობლის პატივისცემას მოითხოვს. ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ ბავშვები ღვთისმოშიშ, კეთილმსახურ მშობელთა მორწმუნე ოჯახში იზრდებოდნენ. მართლმადიდებელი მშობლების მოვალეობა შვილების ზნეობრივი აღზრდა და მათ ზნეობრივ ცხოვრებაზე ზრუნვაა, რაც მათი სულიერი მომავლის საწინდარია. ყრმების, დავითისა და ტირიჭანის, ცნობიერებაში მხოლოდ სიკეთე, რწმენა, ღვთის სიყვარული და იმედი მკვიდრობდა. ყრმათა ცხოვრების აღმწერს უთუოდ ახსოვს მათეს სახარების ის ადგილი, რომელშიც გადმოცემულია ბავშვების მაცხოვართან მიყვანის ფაქტი, მათ კი უფალთან არ უშვებენ. ბავშვების სულიერ მომავალზე მზრუნველი იესო ამბობს: „აცადეთ ყრმებსა მაგათ მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეოუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მ. 19, 14). სახარებაში ნახსენებ ბავშვებს მაცხოვართან ახლოს ყოფნა ახარებთ და მარადიული არსებობის იმედით ავსებთ. განსახილველ თხზულებაში მაცხოვართან ახლოს ყოფნისა და ღვთისმსახურების სურვილით გამსჭვალულ დავითისა და ტირიჭანის ბავშვობას ევანგელური მოძღვრება და ბიბლიური წიგნებისათვის დამახასიათებელი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურა წარმართავს.

დავითისა და ტირიჭანის მცირეწლოვანებისას გარდაიცვალა მათი მამა, ვარდან „მთავარი იგი ერისთაჲ“. ობ-

ლობა ბავშვებისათვის, თავისთავად ცხადია, მძიმე უნდა ყოფილიყო. თუმცა, კეთილმსახური, ღვთისმსახური და მზრუნველი დედა ჰყავდათ. შვილებზე მზრუნველ თაგინეს ავტორი ნეტარად იხსენიებს და ღმრთის ღირსად მიიჩნევს. უნდა აღინიშნოს, რომ თაგინე თავის სიქვრივეზე არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რაშიც სიმბოლური აზრი იკითხება, იგი მარტოა თავის შვილებთან ერთად და ღმერთმა მას დააკისრა მათი სულიერ-ზნეობრივი აღზრდა. მისი ზრახვაც ხომ შვილების ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე აღზრდა და ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცებაა. ყოველივე ეს დედისა და შვილების სულიერ ცხოვრებაზე ორიენტირებაზე მიუთითებს. დედის ამ მზრუნველობასა და შვილების ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბების სურვილს მისივე ძმის, თხზულებაში მტარვალად წარმოდგენილი პერსონაჟის, წარმართი თევდოსის პირადი ზრახვები აღუდგა წინ, რადგან მასში წუთისოფლური, მატერიალური ინტერესები მძლავრობს. ღვთისნიერი თაგინე და წარმართი თევდოსი ერთი დედ-მამის შვილები არიან, მაგრამ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. ერთ ოჯახში ორი ერთმანეთს დაპირისპირებული თვისებების მქონე ადამიანი აღიზარდა, რომელთაგან ერთი, ღმერთს, სულიერობას მინდობილი, ცხოვრების ჭეშმარიტ გზას დაადგა, ხოლო მეორემ, მატერიალურ ინტერესებზე ორიენტირებულმა, მტარვალის, მკვლელის გზა აირჩია. ესეც ევანგელური სიბრძნის შემცველია. ყველაფერი სცადა თაგინემ ღვთისაგან ბოძებული შვილების სიცოცხლის დასაცავად, მაგრამ ვერ შეძლო.

თხზულების სახისმეტყველება ჰაგიოგრაფიულია, ჰაგიოგრაფიულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, ჟანრის სპეციფიკურ ნიშნებსა და პრინციპებს ემყარება. ამიტომ იქცევს ყურადღებას ივანე ჯავახიშვილის შეხედულება, რომლის მიხედვით ბავშვების წამების მოტივი სოციალურია და არა სარწმუნოებრივ-ჰაგიოგრაფიული. მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თხზულების ჰაგიოგრაფიულ-მარტიროლოგიური ხასიათი, რადგან „დავით და ტირიჭანის საკითხავ'ში" ყრმები ქრისტიანობის გამო კი არ

მოუკლავთ, არამედ ბავშვები საკუთარმა ბიძამ თავისი მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად დახოცა, პირადი ინტერესების განხორციელებისათვის მისმა სასტიკმა და დაუნდობელმა დამოკიდებულებამ შეიწირა. მას, დისწულთა სიმდიდრის მითვისების ზრახვით შეპყრობილს, სურდა მცირეწლოვანი ბავშვები დაეხოცა, როგორც მემკვიდრეობითი უფლებების მქონენი და მომავალში მისი შემცილებელნი. ივანე ჯავახიშვილმა ერთმანეთს შეუდარა ყრმათა შესახებ დაწერილი ორი თხზულება: „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“ და „საკითხავი დავითისა და ტირიჭანისა“, და განაცხადა, რომ მოწამეთა ყრმობის კვალობაზე მათ შორის შინაარსობრივი სიახლოვე არ შეინიშნება (ჯავახიშვილი, 1998: 300-301). თხზულების ჟანრული რაობისა და სპეციფიკის განსასაზღვრად მას ყურადღება არ გაუმახვილებია შემდეგი გარემოებებისთვის. კერძოდ:

1. თხზულებაშივე დაცული მონაცემების მიხედვით ბიძის მიერ ბავშვების მოკვლა წამებადაა აღქმული. დავიმოწმებთ ტექსტს: „ამათი ესე სიჩჩოდსა წამებად“ (ძეგლები, 1963/1964: 190). „მსხუერპლი იგი წამებისა მათისად“ (ძეგლები, 1963/1964: 190), „გჳრგჳნი მოწამებისად“ (ძეგლები, 1963/1964: 188). ცხადია, ეს ციტატები მიუთითებს, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიულია, იგი მარტიროლოგიურ თხზულებათა რიგისაა. ამრიგად, თხზულების ავტორმა უდანაშაულო ძმების სიკვდილი, რა საფუძველზე და რა მიზნითაც არ უნდა მომხდარიყო, ყრმათა წამებად აღიქვა და ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით შეამკო.

2. გარდა თევდოსის მიერ თავისი დისწულების, ძმების, დავითისა და ტირიჭანის, დახოცვისა და თვით ავტორის მიერ ნაწარმოების წამებად მიჩნევისა, „წმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი“ რომ ჰაგიოგრაფიულია, ამას თხზულებაში თევდოსის სულიერი გარდასახვაც მოწმობს; ყოველივე ზემოთქმულს ჰაგიოგრაფი სახისმეტყველებითად წარმოაჩენს და ბიბლიურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ ხატ-სახეობრივ სისტემას იყენებს. ამ

თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თხზულებაში თევდოსის არქეტიპად პავლე მოციქულის მიჩნევა, რასაც საფუძვლად აპოსტოლური მონათხრობი უდევს, თუმცა, ხსენებულ კონტექსტში ეს შედარება-სიმბოლო მოულოდნელობის ელფვერს ატარებს. „იგუემა სიბრმითა მით მსგავსად ნეტარისა მის პავლესა. ვითარცა შევარდა იგი სწავლასა მას სალმრთოსა, და მუნქუესვე აღვრი იგი მოწყალებისა მისისაჲ აღუღვა პირსა მისსა, რაჲთამცა მოიქცა ველური იგი განვრდომილი გონებაჲ მისი და შემძლებელ იყომცა განცდად თავისა თჳსისა, რაჲ-იგი უქმნიეს, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ „არა უჯეროჲ ვქმენით, რამეთუ მოვსწყჳდენი დის წულნი ჩემნი“. რამეთუ ამით სახითცა ემსგავსა პავლეს, და მანცა დისწული თჳსი მოკლა სტეფანე პირველ-მოწამჱ“ (ძეგლები, 1963/1964: 188-189). თხზულებაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც თევდოსი მონანულად წარმოჩნდება, სინდისი ქენჯნის, თუმცა, მის სინანულს დამაჯერებლობა აკლია; ეს შიში უფროა, შიში არა ღვთის წინაშე, არამედ ხალხის რისხვის წინაშე. ივანე ჯავახიშვილის აზრით, დაუჯერებელია „მჴეცებრი და ველური“ თვისებებით გამორჩეული თევდოსის ამგვარი სწრაფი მოქცევა, მისი შინაგანი სამყაროს, მისი ბუნების ასე სწრაფი ცვლა (ჯავახიშვილი, 1998: 301).

საქმე ისაა, რომ ჰაგიოგრაფიაში, ჩვეულებრივ, უარყოფით პერსონაჟს მხოლოდ უარყოფითი თვისებები აქვს, ისევე, როგორც დადებით პერსონაჟს არ შეიძლება უარყოფითი თვისება აღმოაჩნდეს, ავტორი მას მხოლოდ დადებითი თვისებებით წარმოაჩენს. შუა საუკუნეების ლიტერატურაში ხასიათი და პორტრეტი არ შეინიშნება. „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ უარყოფითი პერსონაჟი ჟანრისათვის დამახასიათებელი თვისებებისაგან განსხვავებული სახისმეტყველებითაა ნაჩვენები და მკითხველი//მსმენელი მისი პიროვნების გარდასახვის, ცვლილებების მოწმე ხდება. პიროვნების ამგვარი ცვლილება ავტორის პოზიციას უფრო გამოხატავს და არ ვიცით, სინამდვილეში მოქმედება როგორ შეიძლებოდა წარმართულიყო, რადგან უარყოფითი პერსონაჟის სისასტიკე და ეგოიზმი ნაკლებად აჩენს

იმის ვარაუდს, რომ მისი ბუნება შეიძლება შეიცვალოს, თან ასე სწრაფად. თუმცა, ჰაგიოგრაფიის სპეციფიკა უარყოფითი პერსონაჟის გარდასახვის მაგალითებს აღიარებს და მიიჩნევს, რომ ამგვარი მოვლენის ასახვა ჰაგიოგრაფიის მიზანია.

თხზულებაში აღწერილი ბიძის მიერ დისწულების მოკვლის ეპიზოდი ღრმა ფსიქოლოგიზმით მსჭვალავს მთელ ნაწარმოებს, რაც შენიშნული აქვს ივანე ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი, 1998: 301). მასში ვრცლად არის გადმოცემული სვეგამწარებული თაგინეს გოდება და ტირილი თავისი ძმის მიერ შვილების დახოცვის გამო. მან თავის სისხლისმსმელ ძმას გაახსენა, რომ ისინი ერთი დედმამის შვილები იყვნენ, ერთი დედის ძუძუ უწოვიათ და როგორ გაიმეტა საკუთარი დისწულები მოსაკლავად: „არღარა მოიჯსენეა საშოდ იგი მშობელისა შენისად და ჩემისად და ძუძუნი იგი, რომელთა განგუზარდეს შენ და მე? ყოლად მედგარო, რადსათჳს ესოდენითა ერითა გამოხუედ წყობად უძლურისა დედაკაცისათჳს და ნინველთა ყრმათა მისთათჳს? რად დამივსენ სანთელნი ესე ჩემნი, ϑ უშჯულოვო?“ (ძეგლები, 1963/1964: 189). თაგინეს სიტყვებში ერთმანეთს შეპირისპირებულია უმანკო ნინველი ბავშვები (საბას ლექსიკონით, ნინველი/ნინველა ათიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვები არიან), რომლებიც თხზულებაში ხასიათდებიან როგორც „ესე ყუავილნი შუენიერნი“, „ნერგნი სამოთხისანი მის ედემისანი“, „ნათელნი თუალთანი“, „კრავნი ესე ცხოვართა“, მწყემსნი, მართალნი, უბრალონი, და თევდოსი, მჴეცი უწყალო, მჴეცი ბოროტი, ულმრთო, ვეფხი, „სისხლისა მოყუარე“, „ყოლად მედგარი“ და უშჯულო. ურთიერთგამომრიცხავი ეპითეტებით ნაჩვენებია ერთმანეთს დაპირისპირებული ორი სამყარო: ქრისტიანი მორწმუნე ბავშვები და მხეცქმნილი, ბოროტი, მატერიალურის მოხვეჭით გონებადაბნელებული წარმართი ბიძა ბავშვებისა. ზესთასოფლურისა და სოფლის, მატერიალურისა და სულიერის ურთიერთდაპირისპირებით ავტორი წარმოაჩენს მარადიულობაზე ორიენტაციას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებას, რომელსაც ადამიანის სული ღმერთისაკენ მიჰ-

ყავს. შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა საგანგებოდ წარმოსახა დაპირისპირებული რელიგიური თვალთახედვა ქრისტიანობის, როგორც ადამიანის სულიერების ჭეშმარიტებისაკენ მიმქვანებელი რელიგიის, უპირატესობის საჩვენებლად.

თევდოსის ამ საზარელი საქციელის ჩადენის შემდეგ, უდანაშაულო ყრმების უსამართლოდ დახოცვის შემდეგ ღმერთმა სასტიკი სასჯელი მოუვლინა და დაბრმავდა. მისი სიტყვები მოწმობს, თუ რა მკაცრი სასჯელი დაიმსახურა უღვთო საქციელის გამო; ავტორი, საზოგადოდ, აღნიშნავს, თუ რა მოელის ადამიანს უსჯულოებისა და სისასტიკისათვის, მატერიალურისთვის, ამქვეყნიური ინტერესებისათვის ბრძოლის გამო. ყოველივე ამის შემდეგ თავისი საქციელისაგან შეძრწუნებული მისგან შვილებდახოცილ დას შენდობას ევედრებოდა: „ჰ დაო ჩემო თაგინე, ჩემდა მოიქეც და იხილე, რამეთუ ესერა წუერსა ზედა მთისასა ბნელმან დამფარა მე, ვითარცა ჰევთა შინა ღრმათა, ანუ მღვმესა შინა, უფსკრულთა. ჩემ ზედა იქცევის ბნელი წყუდიადი, ხოლო შენ ნათელი გამოგიბრწყინდა მიუწდომელი ნათლისა მისგან წარუვალისა და ჭეშმარიტისა მისგან დაუსრულებელისა ნათლისა. ხოლო აწ ჩემ ზედა უწყალოსა ამას და არა-ღირსსა წყალობად! ნუ მომაგებ საქმეთა ჩემთაებრ, არამედ, ევედრე შენ წმიდათა მოწამეთა, რაჲთა ყონ ჩემთჳს წყალობაჲ, რაჲთა არაღირსი ესე ვიქმნე ღირს ბეჭედსა მას ქრისტჱს მოწყალისა ღმრთისასა, რომელი-იგი მოვიდა ცოდვილთათჳს. მრწამს მე ჭეშმარიტი ღმერთი“ (ძეგლები, 1963/1964: 190). თევდოსის მოსაქცევად, მისთვის სულიერი თვალის ასახელად მცირეწლოვანი ძმების დავითისა და ტირიჭანის მკვლელობა გახდა აუცილებელი, რომლის მსგავსი მონათხრობი, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიის ისტორიაში არც დასტურდება. ფაქტობრივად, ესაა იშვიათი სახის მსხვერპლშეწირვა, თხზულების ავტორის სიტყვით, ამ მსხვერპლშეწირვით „ზიარ-ჰყვენ იგინი ნაწილსა წმიდათა მოწამეთასა... მოიღეს ზეცისა იგი გჳრგჳნი დაუჭნობელი და ცხორებაჲ იგი წარუვალი. ამათი ესე სიჩჩოჲსა წამებაჲ, ღირს ყვენ ესენი მათ მათ-თანა

გვრგვნისა, მათ თანა განკურნებასა ვნებულთასა“ (ძეგლები, 1963/1964: 190). ბავშვების სისხლი იყო „მსხუერპლი იგი წამებისა მათისად“ (ძეგლები, 1963/1964: 190). ამგვარი შეფასება თხზულების ჟანრობრივ რაობას განსაზღვრავს და მის ჰაგიოგრაფიულობას მოწმობს.

თხზულებაში აღწერილია თაგინეს შინაგანი მდგომარეობის ამსახველი ეპიზოდი, რომელიც მისდევს ჰაგიოგრაფიულ კანონიკასა და სახისმეტყველებას, მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, ნაკლებ სარწმუნო ჩანს შვილებდახოცილი თაგინეს საქციელი, როდესაც ღმერთს დაბრმავებული ძმის განკურნებას ევედრება; მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ისევ პავლე მოციქულისა და მისი დისწულის სტეფანე პირველდიაკონის, პირველწამებულის ჰიპოდიგმურ-პარადიგმური სტრუქტურის საფუძველზე თევდოსის მიერ დისწულთა დახოცვის შემდეგ მისი სინანულისა და განკურნების მოწოდება. ავტორი აღწერს, თუ როგორ აიღო თაგინემ დავითის სისხლით „შესუარული“ მიწა და თავისი შვილების მკვლელ ძმას თვალებზე სცხო, რომელმაც „მყის აღიხილნა თუალნი მისნი“. თხზულებაში ყველაზე უფრო ძნელად დასაჯერებელი თაგინეს სიხარული ჩანს ძმის ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევის გამო. თუმცა, ჰაგიოგრაფიის სპეციფიკა მოითხოვს მიმტევებელი ადამიანის სულიერი სამყაროს ჩვენებას და, რა ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს, თაგინემაც მიუტევა თავის ძმას და მისი სინანულის შემდეგ მის სულიერ გადარჩენაზე იზრუნა. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ევანგელურ-აპოსტოლური თვალთახედვის საფუძველზე მავედრებელი ადამიანი მონანიების შემდეგ შენდობას უთუოდ მიიღებს, თუკი სინანული ჭეშმარიტია, თუნდაც მკვლელი იყოს იგი, რადგან ევანგელური სწავლებით: „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მათე, 5: 44); აგრეთვე, გავიხსენოთ ევანგელური მონათხრობი მაცხოვრის ჯვარცმისას ავაზაკის მყისიერი მოქცევის შესახებ,

რაც ადამიანის სულიერი გარდასახვის ნიმუშად შეიძლება მიეჩნიოთ. ამის საფუძველზე ჩანს, რომ თხზულება ქრისტიანთა მდევარ ადამიანებს მოქცევისაკენ მოუწოდებდა და ანუგეშებდა, რომ ცოდვათა გულწრფელად მონანიებისას ღმერთი მათ სულიერი გადარჩენის შესაძლებობასა და იმედს აძლევდა. სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათო დამოკიდებულებაა გამოხატული თხზულებაში აღწერილი ამბის მიმართ, კერძოდ, თევდოსის სულიერი გარდასახვისა და ძმის მოქცევის გამო თაგინეს სიხარულის მიმართ, რაც ივანე ჯავახიშვილმა დაუჯერებლად მიიჩნია; თუ ჰაგიოგრაფიის სპეციფიკა არ გავითვალისწინეთ და მას არ დავემყარეთ, მართლაც დაუჯერებელი ჩანს თხზულებაში აღწერილი ფაქტი. მაგრამ თხზულების სახისმეტყველებითი აღქმა გვარწმუნებს მის ჰაგიოგრაფიულობაში. წამების შედეგად და შემდეგ დავითი და ტირიჭანი გახდნენ „ვითარცა მთიებნი, სუეტის სახედ ნათლისად, რომელთა თავი მისწუდებოდა ვიდრე ცადმდე, რომელსა ყოველნი ერნი ქუეყანისანი ჰხედვიდეს“ (ძეგლები, 1963/1964: 190). ამას ემატება ისიც, რომ ქართულმა ეკლესიამ ბავშვები წმინდანებად შერაცხა, ენრიკო გაბიძაშვილის დათარიღებით, 693 წელს (გაბიძაშვილი, 2006: 594).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, თხზულება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაუჯერებელ ამბებს აღწერს. მან კითხვა სავსებით სამართლიანად დასვა, „თუ ბიძა თავის დისწულებს მამულის წართმევის შიშით სპობდა, მათი გაწარმართების ცდის ამბავს რაღა აზრი ჰქონდა, თანაც თუ მამულის დასაჩემებლად გამოასალმა ბავშვები წუთისოფელს, ეს რაღა მარტვილობაა? ფსიქოლოგიურად დაუჯერებელია აგრეთვე ის სიხარულიც, რომელსაც ასე სწრაფად მოუცვია შვილმოკლული დის გული მისი ძმის გაქრისტიანების გამო. ამიტომ ამ ძეგლს თითქოს არავითარი ისტორიული ღირებულება არა აქვს“ (ჯავახიშვილი, 1998: 301). ივანე ჯავახიშვილის კითხვის პათოსი კორნელი კეკელიძემ არ გაიზიარა და თავადაც დასვა კითხვები: „თუ ბავშვების დახოცვის მიზეზი მემკვიდრეობითი მოსაზრება იყო და არა სარწმუნოებრივი, რაღა აზრი ჰქონდა მათი

გაწარმართების ცდას, ნუთუ გაწარმართებული დისწულები არ შეეცილებოდნენ ბიძას მამულის საკითხში?“ (კეკელიძე, 1960: 518).

ივანე ჯავახიშვილის მიერ თხზულების ჟანრობრივი რაობის განსაზღვრისას გამოთქმული მოსაზრების მიუხედავად, თაგინეს დამოკიდებულება ძმისადმი იშვიათი ღმრთისმოყვარეობისა და კაცთმოყვარეობის ნიმუშად შეიძლება მიჩნეულ იქნას, სწორედ მისმა ლოცვამ და დახოცილი შვილების სისხლით გასვარული მიწის თვალებზე წასმამ დაუბრუნა თვალისჩინი ურჯულო, შემდეგში მოქცეულ თევდოსის. ამიტომ თხზულება ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებად უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც ჰაგიოგრაფიისათვის უჩვეულო, მაგრამ მის წიაღში გამოყენებული სახისმეტყველებითი პრინციპებითა და გამომსახველობითი საშუალებებითაა გამოხატული ძირითადი სათქმელი.

ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ „წმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავის“ ჰაგიოგრაფიულ თხზულებად მიჩნევისათვის ორი საფუძველი არსებობს: 1. მცირეწლოვან ყრმათა ბიძის მიერ მოკვლა თვით თხზულებაშივეა წამებად აღქმული, ხოლო მოკვლა ორგვარადაა მოტივირებული: სოციალური და რელიგიური თვალთახედვით; 2. თევდოსის ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა, როგორი დაუჯერებელი ფაქტებითაც უნდა იყოს მოწოდებული, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული, რაც ბიბლიურ-ევანგელურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას შეესაბამება. თხზულების ავტორი მხატვრული სიტყვის კარგი მცოდნეა და სათქმელის გამოსახატავად სიტყვებს ზუსტად არჩევს, ხოლო პერსონაჟთა განწყობილებებს ჰაგიოგრაფის თვალით წარმოაჩენს. თხზულების ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოფელი და ზესთასოფელი, რომლებიც კატაფატიკურ-აპოფატიკური სიმბოლური სახელებით მოიხსენია. ავტორი წერს, რომ ბავშვებს „საწუთროჲ ესე განხრწნადი“ დააკლდათ, მაგრამ „წარუვალითა მით სრულ იქმნენ“ (ძეგლები, 1963//1964: 186). დროის კონტრასტულობა, მარადიულობისა და წუთი-

სოფლის დაპირისპირებულობა სივრცის საღვთისმეტყველო თვალთახედვით გააზრებასაც განსაზღვრავს, რადგან ძმების სივრცული არეალი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. ისინი მარადიულობასა და ქრისტიანულ სივრცეზე ორიენტირებულნი იყვნენ, ხოლო მათი მკვლელი ბიძა მხოლოდ საწუთროულ დრო-სივრცეზე, ამქვეყნიურ ღირებულებებზე ზრუნავდა, რომელმაც სინანულით განიწმინდა სულიერი მომავალი. ამიტომ თხზულება ერთ-ერთი ღირებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვები ქრისტიანობისადმი რწმენის სიმტკიცით, მშობლებისა და ნათესავების სიყვარულით, სასოებითა და სულიერობით ზეციური მოქალაქობის მოპოვების გზას დაადგნენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

წყარო:

1. ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი, 2006: Православная Энциклопедия, Москва, XIII, 2006.
2. კეკელიძე, 1960: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960.
3. ჯავახიშვილი, 1998: ი. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თხზ. XI, თბ., 1998.